საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 1058/03 **10 თებერვალი 2025 წ.**

სასაქონლო ნიშანზე სამართლებრივი ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენა

შპს „შანდიზ“-ის დირექტორს
ბატონ აჰმად შარიათ
მისამართი: სულხან ცინცაძის ქუჩა, N 24ა
0160 თბილისი, საქართველო

ბატონო აჰმად,

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ (შემდგომ - საქპატენტი) განიხილა 2025 წლის 29 იანვრის თქვენი R 1929-3/2025 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშანზე „1001 Nights“ (საიდ. N91680/3, რეგ. N29604), მფლობელ შპს „ენპიეს გრუპ“-სა (საიდ. N406182385) (მისამართი: სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ., ბოჭორმის ქ., N50/18, ბ. 19, თბილისი, საქართველო) და შპს „შანდიზ“-ს (საიდ. N405237809) (მისამართი: ვაკის რაიონი, ნ. ყიფშიძის ქ., N3ბ, ბინა 19, თბილისი, საქართველო) შორის 2025 წლის 29 იანვარს სასაქონლო ნიშნის ნასყიდობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომ - ხელშეკრულება) რეგისტრაციას საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში და გაცნობებთ რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2022 წლის 8 სექტემბრის N B22112310 ამონაწერის თანახმად შპს „ენპიეს გრუპის“ სახელზე რიცხული მთელი ქონე დატვირთულია გირავნობის უფლებით, კერძოდ:

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102022155190 08/04/2022 10:18:43
შ\პ\ს შპს ენპიეს გრუპი ს/ნ 406182385
საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
საფუძველი: შეტყობინება, N00710322, 08.04.2022, შემოსავლების სამსახური

შესაბამისად, იმისათვის, რომ თქვენს მოთხოვნაზე განახლდეს საქმისწარმოება, გთხოვთ წარმოადგინოთ, დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ შპს „ენპიეს გრუპის“ (საიდ. N406182385) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „1001 Nights“ (საიდ. N91680/3, რეგ. N29604) არ არის უფლებრივად დატვირთული და შპს „ენპიეს გრუპის“ (საიდ. N406182385) უფლებამოსილია განკარგოს იგი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში სასაქონლო ნიშნის „1001 Nights“ (საიდ. N91680/3, რეგ. N29604) მფლობელად რეგისტრირებულია შპს „ენპიეს გრუპი“ (საიდ. N406182385), ხოლო 2025 წლის 29 იანვრის წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართულ ხელშეკრულებაში გამყიდველ სუბიექტად მითითებულია - შპს „შანდიზ“ (საიდ. N405237809).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოთ საქმისწარმოების გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2025 წლის 29 იანვრის თქვენი R 1929-3/2025 განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი

დარეჯანი მჭედლიძე